წ. I 1915 წ.

ოთხშაბათი 1 აპრილი

სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 45 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 45

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ორშაბათს, დილით, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ სტეფანე თუმანიშვილის ასული

კოკოჩაშვილისა.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: დები: ანა სტეფანეს ასული ქაჩხოაშვილისა, ელისაბედ სტეფანეს ასული ჯიმშერაშვილისა, ნატალია, როზა სტეფანეს ასულნი და ძმა ივანე სტეფანეს ძე თუმანიშვილები; სიძეები: მელქონ ქაჩხოაშვილი და პავლე ჯიმშერაშვილი. გამოსვენება ოთხშაბათს, 1 აპრილს, დილით $9^1/_2$ საათზე, თუმანიშვილების სახლიდან. გაგარინის ქუჩაზე. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. ცალკე ბარათები არ დარიგდება. 2—2—140

იესე საყვარელის ძე ქადეიშვილი, ანა მიხეილის ასული ქადეიშვილისა და შვილები მათი: ალექსანდრე, ნადეჟდა გოგიტიძისა, ნინო და თეკლე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი საყვარელი შვილის, უკანასკნელნი დაუვიწყარი დის

მაკაკის (მარიამის)

გარდაცვალებას.

დაკრძალვა ცხედრისა დანიშნულია ქ. ოზურგეთში ხუთშაბათს, 2 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. ქ. ქუთაისში ბაღის ქუჩაზე, ეფრემიძის სახლში. 1—1 143

გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, შაბათს, 4 აპრილს, **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ზუდერმანისა

ქალის სამშობლო (მამულ-დედული)

4 მოქ. თარ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
მზადდება წარმოსადგენად: ივდითი, იუდას მემკვიდრე, ოიდიპოს მეფე და ოტელო.
ფასები ჩვეულებრივია.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

„მმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. **ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

სამანუფაქტურო მაღაზია **ზ. ს. გუტულოვისა**

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, ბულვარის პირდაპირ,

თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი ნიშნავს

დიდ იაფ ვაჭრობას

6—3

გაფრთხილება.

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის **ხ. ხრისტოდულიდის** გასულ წლების მსგავსად წელსაც მოუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. ბოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს ბოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქის ბეჭედი**, რომლის **სიმთელეს** აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ **მთელი იყოს**. თ.

თესლის გაყიდვა გძელდება.

სტუდენტი, უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისათვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლაძის სახლი**. 14—2

ექიმი გაბრიელ იოს. ბოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 სათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის მალარიშვილი და ტრუფა- ექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქუთაისში. **თფილისის ქუჩა**, სახლი ბახტაძისა, ორალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

სტუდენტი ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით) **ვამზადებ** და **ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.
მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დუქანს მაღაზიაში დევიძის სახლი. 14—9

გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი. სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში იმეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.
მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა. 5—3—135

საჭიროა გამოცდილი მოსამსახურე ქალი ბავშის მოსავლელათ. მსურველს შეუძლია მიმართოს პუშკინის ქუჩაზე, ჭეიშვილის სახლში **მ. თ. ბურდეინს**, ნაშუადღევის 3—4 სათამდის.

ქუთაისი, 1 აპრილი.

არ ვიცი, მკითხველო, თქვენზე რა გავლენას მოახდენს დღევანდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი წერილი ბ-ნ „ქართველისა“, მაგრამ ჩვენ კი ერთხელ კიდევ აგვიშალა მწარე ფიქრები ჩვენებურ „დღის სიცხადის“ შესახებ, თვალწინ გადაგვიშალა მთელი უმწეობა ჩვენის ყოფნისა და გაგვახსენა ჩვენის ინტელიგენციისა, თუ „ხალხის მესვეურთა“ მოქმედება-საქციელი.

[illegible] ხალხი ვართ! თითოეული ჩვენთაგანი ყვავს თავზე არ ისვავს, თითოეულ ჩვენთაგანს თავი ქვეყნის მხსნელი ჰგონია, მაგრამ ყველას ნამოქმედარი რომ ერთად შევაგროვოთ, ავწონ-დავწონოთ, კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ და ეროვნული ღირებულების თვალსაზრისით გავზომოთ, დავინახავთ, რომ ჩვენი **ძალები ერთმანეთს კი არ ემატებიან, არამედ ერთმანეთს სპობენ. ერთი** რომ აშენებს, **მეორე** ანგრევს, **ერთი** რომ თავგანწირვით ემსახურება თავის სამშობლოს, ქვეყანას, **მეორე** მასხარათ აკეთებს მას და ფეხით სთელავს მის წმინდა მამულიშვილურ გრძნობას, **ერთი** რომ ტირის თავის ქვეყნისათვის, **მეორე** დასცინის მის „გულ-ვიწროობასა და სულმოკლეობას“, ერთი რომ დღე და ღამეს ათენებს მწარე ფიქრებში და მზად არის მსხვერპლად შეეწიროს ქართველ ხალხს, მასსას, ოღონც კი იგი გამოფხიზლდეს, შესდგეს ადამიანურ გზაზე, გაიგოს ქვეყნის ავი და კარგი, შეიმცნოს და შეიგნოს თავისი თავი, თავისი ისტორია, თავისი წარსული და აწმყო, შეიქმნეს ფხიზელი და თვალ-ხილული, **მეორე** სარგებლობს ჩვენის ხალხის უვიცობით, მასსაში ჟამთავითარებისაგან დაგუბებულ ბოღმით და ამხედრებს ამ მასსას ქვეყნის ერთგულთა და ამავე ხალხისათვის თავდადებულთა წინააღმდეგ, ამღვრევს წყალს და ამ ამღვრეულ წყალში თევზაობს. **ერთი**—ნიჭიერი, მუყაითი, დაუღალავი მუშა ფუტკარივით რომ დაბზუის და პოეტის თქმისა არ იყოს აგროვებს „სათაფლ-სანთლო მასალასა“, რასაც სწირავს თავის პირად ბედნიერებას, ცოლშვილის კეთილდღეობას და ჯანმრთელობას, **მეორე**—უნიჭო, ყოვლად უქნარა და საპყარი, მაგრამ ცხოვრების პირობებისაგან, გალაღებული გველივით ასარსარებს ენას, შხამავს თვის გარემოს და მუშაკთადმი ხელის გაწვდის მაგიერ „ყველას აწვდის სამსალასა.“ და თვითონ კი ღორივით ჩასუქებული (მაპატიეთ ამ სიტყვისათვის) მორთულ-მოკაზმული, გაფუფუნებული ცხოვრების მეჯლიშის თავში წამოსკუპებულა და სხვას „ჭკუას“ ასწავლის.

ერთი რომ მოითხოვს ცოდნას, გამოცდილებას, სიყვარულს, სათნოებას, თავდადებას მოძმისადმი, **მეორე** კმაყოფილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს რა მოხდა.

დასავლეთის ასპარეზზე.

ალბერიდან ჩრდილოეთით მდ. ანკრის ორივე ნაპირზე გერმანელებს შეუპოვარი იერიშები მოაქვს ფრანგების პოზიციებზე.

არგონის სიმაღლეებზე თავგანწირული ბრძოლა სწარმოებს მოპირდაპირეთა შორის. გამარჯვება ფრანგების მხარესაა გადახრილი.

მარმარის ტყეში გერმანელებმა ფრანგების იერიში მოიგერიეს, თუმცა ფრანგები თავის დაკავებულ პოზიციებზე დარჩნენ.

ოსმალეთის ასპარეზი.

ოსმალეთსა და სპარსეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ოსმალეთის ჯარი ძალით შეიჭრა სპარსეთის ტერიტორიაზე და კასრიშირინი დაიკავა. განხეთქილების ჩასაქრობათ ზომებია მიღებული.

დარდანელთან.

საროსის ყურეში დარდანელზე ყუმბარების დაშენას განაგრძობენ.

ქ. სმირნა მოკავშირესაგან დაალყულია.

მიტელინიდან ცნობაა, მოკავშირეთა ფლოტი განსაკუთრებით ოსმალების ახალ სანგრებს უშენს ყუმბარებსო.

ალმოსავლეთის ასპარეზი.

პასისა და ომულევის შუა გერმანელებმა უნაყოფოთ მიიტანეს იერიში სოფ. შაფრონკაზე. უქოკის მთაგრეხილის რაიონში გერმანელები გამაგრდნენ.

ოსოვეცს 8 დიუმიანი გაუბიცებით ესროდენ ყუმბარებს.

დემბთან რუსებმა გერმანელების პაეროპლანი და ორი მფრინავი დაატყვევეს.

დება ზერელობით, ხრიკებით, პრტყელ-პრტყელი სიტყვებით და ისეთის მოხერხებით ატყუებს ხალხს, მასსას, რომ ყველაზე პატიოსანი და დიდი მებრძოლი გეგონებათ.

ერთი რომ...

მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი წინააღმდეგობა ჩვენის ცხოვრებისა უნდა აღვნიშნოთ?..

თქვენ თვითონ დაუკვირდით ჩვენს—ქართველების—შინაურ ცხოვრებას, იყავით გულწრფელი, ერთი წუთით დაივიწყეთ პირადი ეგოიზმი და ნათლათ დაინახავთ, რომ ჩვენი შინაური ცხოვრება მხოლოდ ცარიელი ბობოქრობა და ერთმანეთის დამამცირებელი ორომტრიალია.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს რომ ჯგუფობანამ დაგვარეტიანა და შენ-ჩემობამ სული და გული ამოგვართვა. ესევე მიზეზები ღუპავენ ჩვენის ქვეყნის, საქართველოს, საქმეს, ესევე მიზეზებია მიზეზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმის, რომ ჩვენი სოფელი უპატრონოთ არის მიტოვებული, ჩვენი ხალხი უვიცი, ჩვენი გლეხობა—შეუგნებელი, ჩვენი მუშები—გაბოროტებულნი, ჩვენი ბურჟუები—მყვლეფავები, ჩვენი თავად-აზნაურობა—გადაგვარებული, ჩვენი ნასწავლები—აბუჩად აგდებულნი, უსწავლელნი—საზოგადოებრივ აზრის შემქნელნი, მოსწავლენი—მბრძანებელნი, მასწავლებელნი—ნაცემ-ნატყეპნი და სხვა და სხვა...

ერთი სიტყვით, შინაური ჩვენი ცხოვრება ან თვალთმაქცობა და ძალმომრეობაა, ან ტანჯვა და ვაება!..

ასეთები ვართ შინ!

როგორები და ვართ გარეთ?..

გარეთ ვართ მხდალები, მონები საპყრები. ყველას ფეხქვეშ ვეგებით, წინაშე თავს ვიმცირებთ, ყველას ყველას ვულოლიავებთ, ყველას ვემორჩილებით.

არა გვაქვს შინ ერთობა, არა გვაქვს გარეთაც ძალა. ხოლო სუსტს კი ყველა სჩაგრავს და იბრიყვებს. ასეთია ბუნების კანონი!

რა არის მიზეზი ჩვენი ასე დაკნინებისა?

მიზეზი ის არის, ჩვენის ღრმა რწმენით, რომ საქართველო კარგა ხანია გადმოვარდა თავის ისტორიულ გზიდან, მოაკლდა იგი ბუნებრივ, მშობლიურ აღზრდას, დაივიწყა თავისი ისტორია, თავისი თავმოყვარეობა, ტრადიციები, გზა აებნა, ფიქრი დაეფანტა, გული გაუტყდა, ძალა გამოელია!.. ძალა თითოეულისა კი არა, ძალა ერთობისა!..

მაშ რა გვიხსნის?

ჩვენ გვიხსნის მხოლოდ სათანადო, ეროვნულ განვითარების გზაზე შედგომა, ჩვენ გვიხსნის ისეთი მშობლიური აღზრდა და სწავლა, რომელიც ჩვენ ძალებს კი არ გათიშავს, არამედ შეაერთებს, რომელიც მისცემს ნიჭსა გზას ფართოს, თავისუფლებას—ღირსებას რომელიც თავს—თავის ადგილზე გამოგვაბამს და გულს [illegible]

ჩვენ გვიხსნის დაახლოვება სოფელთან, მშრომელ ხალხთან, რომელი დაახლოვებაც ბევრ რამეს გვასწავლის, ბევრ რამეს აგვიხსნის, ბევრ რამეს განგვიმარტავს.

ჩვენ უნდა გავიდეთ სოფელ-ქალაქად და შევიტანოთ იქ ქართული წიგნი, ქართული აღზრდა, ქართული აზრი და ფიქრი.

ჩვენ უნდა მოვედვნეთ ყტე—ველებს, ვისწავლოთ მოგროვება ბუნებრივ სიმდიდრეთა, სიმდიდრე იგი გავუზიაროთ ჩვენ ხალხს, დავიხსნათ იგი სიღარიბისა და დაჩაგრულობისაგან.

ჩვენ უნდა შევქმნათ ერთობა, ერთობა ქართველური, ერთობა შესაფერი ჩვენის ხალხისა და ისტორიისა...

ჩვენში არ უნდა იყოს არც ბატონი და არც მონა, უნდა აღვზარდოთ ტიპი **ქართველი კაცისა**, ტიპი ამაყი, თავმომწონე, კაცად კაცადი, ღირსი და სწორი ყველა ეროვნების მთლიანი ტიპისა.

ჩვენ ქართველები ყველა ერთისათვის უნდა ვიყოთ და ერთი—ყველასათვის!

მხოლოდ მაშინ მოეწყობა ჩვენი შინაურიცხოვრება, მხოლოდ მაშინ გვცემენ პატივს გარეშენიც...

აი აქეთკენ მოგვიწოდებს ბ-ნ ქართველის წერილიც, რომელსაც სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ ჩვენის ამონაკვნესის შემდეგ.

პატარა წერილი დიდ საკითხზე.

ქართველები ერთ-ერთ აბუჩად აგდებულ ერთგანი ვართ რუსეთის იმპერიაში. ჯერ ერთი რომ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს და თუ მოიღეს მოწყალება და ოდესმე გვახსენეს, მაშინაც ჩვენს ტკივილებზე და აუცილებელ საჭიროებაზე ორ აზროვნათ და ბუნდოვნათ გვეტყვიან რაღაცებს და მაშინვე მუსაიფს ჩვენი ბუნების სიმშვენიერეზე გადიტანებენ.

„ახ, რა სურათები, რა ბუნება, რა სანახაობა“, აი რას გაიგონებთ და რაზე დაგიწყებენ აღტაცებით ლაპარაკს, თქვენ მაინც ცდილობთ, რომ საუბარი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ჩამოაგდოთ და, რუსულათ რომ ვსთქვათ, к стати и не к стати შესაფერ რეპლიკებს აწვდით მოსაუბრეს. ისიც ჯერ აინუნშიაც არ იღებს თქვენს სიტყვებს და მხოლოდ საუბრის ბოლოს თავის ქნევით იტყვის: „და ამ ქვეყნიურ სამოთხეში' ხალხი გაჭირვებით სცხოვრობს! ეე, ხე ხე, ხე!“ მორჩა და გათავდა, მეტს ნურას გამოელით. ამ გვარ საუბარს გაგიბამენ, რომელ მიმართულების ინტელიგენციაშიც უნდა მოხვდეთ, სულერთია ზომიერ მემარცხენესთან გექნება ბაასი, თუ უკიდურესთან.

როცა ბაასის შემდეგ მარტო რჩები და უკმაყოფილოთ იგონებ შენთან მოლაპარაკის ტონსა და ცამომეტყველებას, აშკარათ რწმუნდები, რომ მან თითქმის არაფერი არ იცოდა ქართველების შესახებ და, რაც პირველზე უარესია, არც კი უნდა, რომ სცოდნოდა. პსიხოლოგიურათ ეს შეიძლება გასამართლებელიც იყოს: ის, შენთან მობაასე, გაბატონებულ ერის შვილია, ას მილიონიან მშობელს იგულვებს და შენ რაღაც ორ მილიონიან ერის შვილი აჩრი შენს თავს და თითქოს კიდეც აყვედრი: რათ არ იცნობ ჩვენს წარსულსა და აწმყოს. ერთის შეხედვით ახირებული პრეტენზიაა!

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენმა მოსაუბრემ სურვილი გამოსთქვა საქართველოს წარსულისა და აწმყოს დაწვრილებით შესწავლისა და გთხოვათ შესაფერი მასალები: მეცნიერული შრომანი ერის ისტორიის და კულტურულ ცხოვრების შესახებ. რა გინდათ მაშინ მიაწოდოთ მას, რითი აკმაყოფილებთ მისს სურვილს? არქივებში ხომ არ გაგზავნი საქიქათ, არა და მოგვეპოვება კი ისეთი წიგნი, რუსულ ენაზე, რომელიც საშუალო მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს და თანაც ჩვენს ყოფა ცხოვრებას შესაფერათ აშუქებდეს ყოველ მხრივ? ან და რომელიმე კითხვას მაინც მკაფიოთ და მოკლეთ არკვევდეს? თუ არ ვცდები ასეთი წიგნი რუსულ ენაზე ჩვენს შესახებ არ უნდა იყოს, თუ არ მოვიხსენებთ იმ ორიოდე წიგნს, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასისწლის თავზე გამოიცა.

ჰო, უკაცრავად, კინაღამ დამავიწყდა! რომანოვების გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავათ ჩვენმა თავად აზნაურობამ განიზრახა გამოეცა რუსულ ენაზე ისეთი წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით იქნებოდა საქართველოს ცხოვრების ყოველი მხარე გაშუქებული და განმარტებული. მიუხედავათ იმისა, რომ ეს წიგნი უმეტესად ჩვენს წარსულს ეხებოდა, მაინც დიდი განძი იქნებოდა ჩვენთვის, რადგან ამით გაგვიცნობდენ, შეიგნებდენ ჩვენს ტკივილებს და სხვა. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ სასარგებლო წიგნს მე ვერსად შევხვდი, ვერც ჩვენში და ვერც რუსეთში, არც ჩვენს პრესაში წამიკითხავს რამე მის შესახებ და არც რუსეთის; ბოლოს გულახდილათ უნდა აღვიარო, რომ არც ის ვიცი, ეს წიგნი გამოვიდა თუ არა. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი ვეცადე ხელში ჩამეგდო იგი. შეიძლება ეს წიგნი უკვე გამოსულიცაა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმ წიგნს, რომლის არსებობაც კი არ იცის საზოგადოებამ, რომლის შესახებ პრესაში კრინტიც არ დაძრულა!

რათ ჩამოვაგდეთ ეს საუბარი? აი რათა: დღევანდელ უმაგალითო ომში რუსეთის სხვა ერებთან ერთად ჩვენც ვიბრძვით, ჩვენც სისხლსა ვღვრით საერთო მტრისას. ჩვენოდენი ერთგულება და თავდადება, მგონი, არც ერთ ერს არ გამოუჩენია ამ ომში

არ გვიცნობენ და, ზევით მოგახსენეთ იმისი არ იყოს, არც უნდათ გვიცნობდენ.

ამაში უპირველესი დამნაშავენი ჩვენვე ვართ. საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება ჩვენ არ გვაქვს, რომ ჩვენის ფიზიონომიით წარვდგეთ ყველას წინაშე, ჩვენ გათქვეფული ვართ რუსეთის ხალხში და ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის დანახვა არა თუ სხვებს, ჩვენც კი გვიჭირს. დღევანდელ ჩვენს მიზანს, სხვათა შორის, უნდა შეადგენდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას—ჩვენი გაფანტულობის თავდაყრა და გამორკვევა, საკუთარი სახის გამოჩენა. ამ მიზნის შესასრულებლათ ჩვენ დიდი შრომა გვჭირდება, მაგრამ რაკი სხვა გზა არა გვაქვს ტიტანიური შრომა უნდა ვიკისროთ. უნდა ვმუშაობდეთ შინ და გარეთ, უნდა ვმაგრდებოდეთ როგორც შინაურ ცხოვრებაში, ისე გარეულში. ეს ორმაგი მოქმედება ჩვენთვის აუცილებელია, უამისოდ მომავალში ისეთ მდგომარეობაში დავრჩებით, როგორშიაც წარსულში ვიყავით და დღესაც ვართ.

თუ ჩვენ თავს ჩვენვე არ მოუვლით,

რომ თავიდან ავიშოროთ ან შევამსუბუქოთ მაინც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლივ საჭიროა, რომ **გამორკვეულ იქნეს, თუ რა მონაწილეობას ღებულობს ქართველი ერი დღევანდელ საერთაშორისო** ომში, რამდენ მსხვერპლს სწირავს რუსეთის მთლიანობისა და შესამუსრავათ მოსულ მტერს. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ აუცილებლივ საჭიროა, რომ ჯერ გამოირკვეს რამდენი ქართველი სალდათი და აფიცერია გაწვეული ომში, რამდენი დაიჭრა, რამდენი მოკვდა, ვინ როგორი გმირობა გამოიჩინა და სხვა. მეორე მხრივ უნდა მივმართოთ რუსეთის გავლენიან გაზეთების სამხედრო კორესპონდენტებს—ვ. ბრიუსოვს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, გ. პეტროვს, პანკრატოვს და სხვებს—თუ რა აზრისანი არიან ისინი ქართველ სალდათების მეომრობაზე, თავ-

---

აკაკი, როგორც მგოსანი.

(მასალა კრიტიკისათვის).

დასასრული. *)

საქართველო, ეს—აკაკის სიტყვით—„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ მხარე—ნამდვილი აკვანია ბუნებით პოეტებისა. საქართველოს კეკლუცი ბუნება, მუდამ მხიარული, მოწმენდილი ცა, ყოველ ფეხის გადადგმაზე საუცხოვო, გრძნობებით აღმძვრელი ბუნების სურათები, ეჭვი არაა, იწვევენ ქართველი კაცის არსებაში პოეტურ აღმაფრენას..

მაგრამ რა ჰქნას მარტო ბუნებამ თუ ცხოვრება ქართველი კაცისა მოშხამულია' რით გაშალოს მუზამ ფრთები თავისუფალ საფრენად, თუ საქართველოს არემარე გამანადგურებელ ატმოსფერით არის გაჟღენთილი, რაფერ მოიკალათოს პოეტურმა მადლმა ახალგაზდა ქართველის არსებაში, თუ ეს უკანასკნელი ბავშობიდგან გონების დამჩლუნგებელი, ენის დამავიწყებელ მხარეში ვარდება და ხანგრძლივი მასში ფხარკალის შემდეგ დამტვრეულ გალატაკებული ცხოვრების მონა, მორჩილი ხდება?!.

ბედნიერ გამონაკლისს შეადგენენ ზოგიერთები, რომლებიც ან ბუნებითი ძლიერი ნიჭის წყალობით, ან რაიმე შემთხვევით გადარჩებიან ამ საფრთხის კლანჭებს. მაგრამ ეს ზოგიერთებიც საჭიროებენ ხელმძღვანელში, მათაც უნდათ წრთვნა, ესაჭიროება მასწავლებელი, გამათამამებელი. ამ გვარ ამსწავლებლათ მოევლინა ჩვენი საყვარელი აკაკი ზოგიერთ ქართველ მგოსნებს, რომლებმაც მოიხვეჭეს სახელი და გახდენ ჩანგის ტარების ღირსი. აკაკის გრძნობით სავსე ლექსებმა მოხიბლეს ისინი: ამ ლექსებიდან მათ ისწავლეს ენა, ფხიზელი შეზდულება ქართველი ხალხის უნუგეშო მდგომარეობაზე და, დიდებული მასწავლებლის ჩანგურის ხმებით მოხიბლულებმა, თვითონაც მომართეს ჩანგი და, შეძლებისა დაგვარად, შეიტანეს თავისი წვლილი ჩვენი ლიტერატურის წინსვლის საქმეში.

აკაკის უტყუარ ნიჭით შექმნილ თხუზულებებს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და, ეჭვი არაა, რაც დრო გავა უფრო და უფრო ექნება **ზნეობრივ-აღმზრდელობითი** მნიშვნელობა. ის, ვინც გულმოდგინედ დაეწაფება აკაკის პოეზიას, შეისწავლის და შეითვისებს მის ნაწარმოებს ის, თქმა არ უნდა, აკაკიში დაინახავს იმ გზის მაჩვენებელ ადამიანს, რომელსაც მოვყავართ სასურველ ცხოვრებისაკენ. რას არ იპოვის მის ნაწერებში მკითხველი: ცხოველი და სპეტაკი გრძნობა, წმინდა აზრები, კაცთ-მოყვარეობა, ჭეშმარიტების მომხრეობა, ბოროტების სიძულვილი, სიყვარული და თანაგრძნობა დაცემულისა, მამულისა და სამშობლო ენის უანგარო სიყვარული, ვაჟკაცური მოთმინება განსაცდელის დროს, ამირანისებური ძლიერი სული მოვალეობის წინაშე და სხვა მრავალი ხელის ხელ საგოვმანები მარგალიტები. ყველა ეს დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველ-მსმენელზედ და იწვევს ამ უკანასკნელებს სიკეთეს სათესად, ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზრდის და ანვითარებს მათში ზნეობრივ მხარეებს და უღვიძებს საუკეთესო მომავლისაკენ მისწრაფების სურვილს. აკაკის კალმით დაფრქვეულ მარგალიტ ლექსებიდან ქართველი სწავლობს და ითვისებს სამშობლო ენას, ავარჯიშ-ანვითარებს ამ ენაზე ჭკუა-გონებას, იცხოველ-ფხიზებს სულსა და გულს.

აკაკი საუკეთესო შვილია მე-XIX ს. ქართველი ერისა, იმისთანა შავ დროს, როგორიც იყო მგოსნის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დრო, აკაკისთანა მამულიშვილი ხომ მესიის როლს თამაშობს. აკაკი ხომ ნამდვილი მოციქულია, რომელიც ერემიასებრ დასტირის საქართველოს დაცემას, დაუძლურებას; ძლიერის გამომეტყველი ენით ასურათ-ხატებს ქართველთა სისუსტეს, სამარცხვინო მონობას, სილაჩრეს; აკაკი ხომ საუკეთესო ნუგეშის მცემელია, ის ხომ მუდამ უქადდა თანამემამულეებს ბრწყინვალე მომავალს, წყლულების მომშუშებელ „ხვალეს“, აკაკი ხომ მახარობელია კეკლუც გაზაფხულისა, ის ხომ მქადაგებელია ძმობის ერთობის, თავისუფლების... აკაკი ეს ის ადამიანია რომელსაც:

> „ავიც და კარგიც მას ჰგვება
> თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს
> მოძმეთ უმანკოთ ემსახურება
> და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს
> ხან მტრედებრ აღმა ჰფრენს მოწონებით
> ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება
> მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით
> ის მხოლოდ მოძმეთ ემსახურება.

დიახ, აკაკი მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველ ხალხს სიკვდილი არ უწერია, რომ მომავალი მისი წინ არის.

მე სრულიად არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ მე XII საუკ. ქართველმა ერმა წარმოშობა შოთა რუსთაველი. მე XII-ს ხომ ოქროს ხანა იყო ქართველების ცხოვრებაში; ეს ხომ ის დროა, როცა საქართველოს მთელ სივრცეზედ დუღს და გადმოდუღს მშვიდობიანი და უდარდელი ცხოვრება; ეს ხომ ის დროა, როცა სხვა მრავალ გონებრივ დარგთა შორის გაიფურჩქნა და აყვავდა ლიტერატურა; ეს ხომ ის დროა, როცა საქართველოს კეკლუცი ბუნება მოიფინა ნიჭიერი მწერლებით; ეს ხომ ის დროა, როცა სამშობლო ენა-ეს საუკეთესო განძი—გაიფურჩქნა და აყვავდა, გასუქდა და განსპეტაკდა; ეს ის დროა, როცა სამშობლო ენა გრგვინავდა და სჭექდა სასამართლოში, როცა სამშობლო ენაზე ითქ[illegible]ებოდა მეცნიერება-მოძღვრება—მცნებანი, როცა სამშობლო ენა მუსიკობდა თვით ცხოვრებაში. დიახ, ეს იყო ხანა სინათლისა და აი ამ სინათლეში გაანათა ბუნებით დაჯილდოებულმა შოთამ, რომლის ნიჭის ზრდა-განვითარებას ვერაფერი ხელს ვერ უშლიდა.

მე XIX-ს. ნიჭიერი მგოსანი ყველა ამაებს მოკლებული იყო: მან ისუნთქა მოწამლული ჰაერით, იფხარკალა იმ მახეში, რომელშიაც ფხარკალობდა არა ერთი და ორი ქართველი ახალგაზდა, იპოტინა იმ სიბნელეში, რომლითაც მოცული იყო ქართველთა არე-მარე და სწორედ ამ სიბნელეში გაანათა, ჩვენდა სანუგეშოდ, ნიჭიერმა მამულიშვილმა—აკაკიმ. აი მე რა მაკვირვებს!..

აკაკის მნიშვნელობა ერთი ორად უფრო გაიზრდება ჩვენ თვალში, თუ ვიტყვით, რა როლს თამაშობდენ მე XIX საუკ. პირველი ნახევარის აკაკის მოწინავე მწერლები. ნებას მივცემ თავს პატარა შედარება მოვიყვანო: სოფელში ბავშვები ცეცხლის დამთების დროს დააწყობენ წვრილ-წვრილ ფიჩხებს ნაკვერცხალზედ და მოყვებიან ლოცვას: „კიზი, კიზი ნობელა დანა-სამართებელა, ჯერ ამასა მოეკიდე, მერე ხორის შეშასა“.

ბავშვების ეს ლოცვა მაგონდება, როცა უკვირდები აკაკის მოწინავე მწერლების ღვაწლს ჩვენი ლიტერატურის წინაშე. ამ მწერლების ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ გარეშე და შინაურ მტერთაგან შევიწროებული ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც ძლიერ მოგვაგონებს თავის უფერულებით ნაცარ გადაფარებულ ნაკვერჩხალს—შეინახეს, არ გააქრეს, მაგრამ ძლიერი ლიტერატურული ცეცხლის გაჩაღება კი ვერ შეძლეს, ხორის შეშის მოტანა ვერ იკისრეს. ძლიერი ლიტერატურული ცეცხლი გააჩაღეს მე 60 წლ. მწერლებმა, რომლებთა შორის აკაკის თვალსაჩინო ალაგი უკავია, როგორც უტყუარ თვითარს ხელოვან—მგოსან მწერალს. აკაკიმ დაიწყო ლიტერატურულ შენობის, უკეთ რომ ვსთქვათ, დანგრეულ შენობის აგება და კიდევაც ჩაუდო მაგარი მასალისაგან შემზადებული საძირკველი და მაზედ მუშაობდა ნიჭიერი მგოსანი თვით სიკვდილამდის.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ თუ აკაკისაგან დახსნილ-გაფურჩქნულ-გალამაზებული ენა გაბატონდა ქართველი ერის ცხოვრებაში, თუ აკაკის ნაანდერძები მოძღვრება მცნებანი მიიღეს და გაახორციელეს ცხოვრებაში მგოსნის თანამემამულეებმა, იმ შემთხვევაში ცეცხლი ლიტერატურული, აკაკისაგან გაჩაღებული, ერთი ორად უფრო გაძლიერდება და შენობა ლიტერატურული, რომლის საძირკვლის ჩაწყობაში აკაკის თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის, სასურველად დამთავრდება...

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ თუ აკაკის ტკბილი, მხატვრული ენა გაბატონდა ქართველი ერის ცხოვრებაში, თუ აკაკის გამომეტყველ და მსუბუქ ენაზე წრთვნა-ვარჯიშობა-აზროვნობას ეღირსა ქართველი ახალგაზდის ცხოვრება,—ეჭვი არაა, ვიმეორებ, ეს ენა აღზრდის აკაკიზე ბევრათ უფრო მაღლა მდგომ მგოსან-მხატვრებს, რომლებიც შთაბერვენ ძლიერს და მაღალს საკაცობრიო სულს ჩვენს ლიტერატურას და გამოიყვანენ ამ უკანასკნელს მსოფლიო ასპარეზზე.

გორგი.

---

*) იხ. „სამშობლო“ № 44.

დადებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თითო წერილს არ დაიშურებენ ამ საქმისათვის და თავიანთ შთაბეჭდილებას გაუზიარებენ რუსეთის ხალხს. უნდა მივმართოთ აგრეთვე გენერლებს და სარდლებს, რათა იმათაც დაამოწმონ ჩვენი ჯარისკაცების გმირობა და ერთგულება. ყველაფერი ეს უნდა შეიკრიბოს და გამოიცეს, რასაკვირველია რუსულ ენაზე. მაგრამ გამოცემა უნდა იქნეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და არც ისეთი, როგორც ზევით იყო ნათქვამი ჩვენი თავადაზნაურობის მიერ განზრახულ თუ შესრულებულ საიუბილეო გამოცემაზე. ვიტყვი მეტსაც—წიგნი სრულიად უფასოდ უნდა გავავრცელოთ რუსეთში; უნდა გავუგზავნოთ ყველა რუსულ რედაქციებს—სულ ერთია პროვინციელს თუ სატახტო ქალაქელს—უნდა მივაწოდოთ ყველა გამოჩენილ ლიტერატორს და პოლიტიკურ მოღვაწეს, უნდა მივსცეთ აგრეთვე სახელმწიფო დუმის ყველა დეპუტატს. დაე, იცოდეს ყველამ, გაიგოს ყველამ, თუ რამდენათ ერთგულნი ვართ ჩვენ და რა მონაწილეობას ვღებულობთ რუსეთის თავდაცვაში. ეგების მერე მაინც უფრო ფრთხილათ მოგვეპყრან და წარა-მარათ არ გაგვაბურთაონ, ეგების ამით მაინც გადმოიხედონ ჩვენსკენ მოწყალების თვალით და ვერ გაგვიბედონ უბრალოთ შეურაცხყოფა.

ვინ უნდა იკისროს ეს საქმე? ჩვენმა თავადაზნაურობამ და ქალაქის თვითმართველობებმა, მათ მეტი ვერავინ ამ საქმეს ვერ მოაგვარებს, მატერიალურ დახმარებას კი სხვებიც გასწევენ, მაგ. შავიქვის მრეწველთა საბჭო, ქართული ბანკები და სხვა.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ჩვენი გულწრფელი სურვილი მიზანს მიაღწევს.

იმედია, ქართული პრესა გამოსთქვამს თავის აზრს ამ საგნის შესახებ.

ქართველი.

ახალი ამბავი.

როგორც ბათომიდან გვწერენ, ამ დღეებში პეტროგრადიდან ჩამოსულა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს აჭარლების მდგომარეობა. საკითხის გამოსარკვევათ მიწვეული იქნება მცოდნე პირები.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება.** 30 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება თავ. ს. გ. მიქელაძის თავმჯდომარეობით ქალაქის მოურავის და გამგეობის წევრის ს. ა. ქვარიანის შორის უთანხმოების გამოსარკვევათ. საბჭომ მთელი სხდომა ამ საკითხს მოანდომა. ხმოსნების ერთი ჯგუფი იმ აზრს ადგა, რომ ეს საკითხი გამოსარკვევათ გადაეცათ სარევიზიო კომისიისათვის, მეორეს სურდა გადაეცათ იურიდიული კომისიისათვის და მესამეს კი, საკითხის გარჩევა საბჭოში სულ მოეხსნათ და კერძო პირების საშუალებით მორიგებულიყვნენ. თვით ქვარიანს სურდა ეს საკითხი იურიდიულ კომისიას გაერჩია, მაგრამ დიდი დავის შემდეგ საკითხის გამორკვევა სარევიზიო კომისიას გადაეცა.

✦ ამას წინათ ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ქალაქისათვის ხაზინას მიეცა 77.080 მან. და 77 კ. გადამდები სენით ავათმყოფთათვის საავათმყოფოს ასაგებათ. გუბერნატორთან აგრეთვე წარდგენილი იყო საავათმყოფოს ხარჯთაღრიცხვა და შენობის გეგმა. ესენი ყველა გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას უკანვე დაუბრუნა და აცნობა, რომ ეს საკითხი უნდა განიხილოს ქალაქის საბჭომაო.

✦ ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფე ქალებს გამოცდები დაეწყებათ 15 აპრილიდან.

✦ ქუთაისის უმაღლეს პირველდაწყებით სავაჟო სასწავლებელში ოლდენბურგის ქუჩაზე ეს ორი დღეა მოწყობილია გამოფენა მოწაფეთა მხატვრობისა. დარბაზი მშვენივრათ არის მორთული სურათებით.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობამ ბ. გუბერნატორს სთხოვა დააარსონ წიგნსაცავ-სამკითხველო სოფ. ღებში (რაჭის მაზრა), სოფ. ძიმითში (ოზურგეთის მაზრა) და ს. პატრიკეთში (ქუთ. მაზრა).

✦ როგორც სოფ. მანდიკორიდან (ოკრიბა) გვწერენ: კვირას, 29 მარტს, აკაკი ნიშნიანიძის მეთაურობით გადაუხდიათ პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენიებლათ. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ბ. ნიშნიანიძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა და გააცნო მშრომელ გლეხობას მგოსნის აკაკის მოღვაწეობა.

✦ ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის აგენტმა ი. ჩაჩანიძემ წარუდგინა ლაბორატორიას ოქმები მეპურების მიერ გამოუცხობელი პურის გამო.

✦ სოფელ ბომბოთიდან (სენაკის მაზრა) გვწერენ, რომ შაბათს, 28 მარტს, დავით ასათიანის ოჯახში შეიკრიბენ რამოდენიმე კაცი. მხიარულების შემდეგ მათ რევოლვერებით ოხუნჯობა დაუწყიათ. ერთ მათგანს ტყვია გავარდნია, რომელიც მასპინძელ ასათიანს მოხვედრია და იქვე მოუკლავს.

✦ ქალაქ ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილეთ გუბერნატორმა დაამტკიცა გალაქტიონ ტყემალაძე. ბ. ტყემალაძე ახლათ კურსდასრულებული ახალგაზდაა.

✦ **სოფლის კოოპერატივებს საყურადღებოდ.** სოფლის ყველა იმ კოოპერატივებმა, რომელთაც სურთ საგუბერნიო კოოპერატივის დამფუძნებელ კრებაზე მონაწილეობის მიღება (7 აპრილს), დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ უახლოესი საფოსტო დაწესებულების მისამართი „კოოპერაციის“ რედაქციას ქუთაისში, რომ გაეგზავნოს მათ რწმუნების ბლანკები.

✦ შაბიამანს ქუთაისში ვაჭრები ფასს ყოველდღე უმატებენ. ფუთ შაბიამანს ამჟამათ 13 მანეთად ჰყიდიან. ასეთი სიძვირე შაბიამანისა უფრო იმან გამოიწვია, რომ თფილისიდან ჩამოდიან „სპეკულიანტები“ და შაბიამანი იქ მიაქვთ.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ქუთ. გუბერნიის მევენახეობისა და მევენახობის საზოგადოებამ, თორემ მთელი გუბერნიის ვენახები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება.

✦ შაქრის საკითხი ქუთაისში კვლავ უნუგეშო მდგომარეობაშია. ვისაც აქვს ორ სამ ფასათ ჰყიდის. ერთმა კომისიის წევრმა თვით ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურესაც ზედმეტი ფასი გადაახდევია და აბა რას უზმენ უბრალო მცხოვრებლებს?

✦ ქ. ფოთის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. მ. ჯაფარიძე, რომელმაც წელს დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტი.

კარგი საქმე.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ერთ-ერთს კრებაზე გარდასწყვიტა, რათა ქ. ქუთაისის სხვადასხვა უბნებში თავის გამგეობის, თუ საზოგადოების წევრები დაეგზავნა; ამათ ქართველ მცხოვრებთათვის წინადადება უნდა მიეცათ, რომ საზოგადოების წევრებათ ჩაწერილიყვნენ.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით მე და ორი წევრი, დ. ოყურეშიძე და ბ. მამფორია 17-ს მარტს შევუდექით ჩვენი ხვედრი უბნის ჩამოვლას.

ამ დღეს მოვასწარით მხოლოდ ვორონცოვის ქუჩის ერთ მხარეზე მოვაჭრეებსა და მემამულეებთან მისვლა; დავიწყეთ ბატ. გრიგოლ გაბუნიას მაღაზიიდან და მივედით ჯაჭვის ხიდამდი.

ყველგან მაღაზიებში საალდგომო სავაჭრო ფაცი ფუცი იყო: ცოტა უხერხულება ვიგრძენით, მაგრამ, როცა პირველ ორს მაღაზიაში მოყვრულათ მიგვიღეს და ჩვენს წინადადებას თანაგრძნობით შეხვდენ, ამით ჩვენც გავმხნევდით.

სადაც კი მივედით, ყველა წევრათ ჩაეწერა, საწევრო ფული გადმოგვცა და ამ წმინდა საცქმელს ალაგ-ალაგ მარილიანი სიტყვები და სასარგებლო რჩევაც მოაყოლეს.

ზოგიერთებმა კითხვებიც მოგვცეს საზოგადოების მიზნისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ განვუმარტეთ, რომ ამ საზოგადოებას ხალხისათვის სასარგებლო და კულტურული მიზნები აქვს სამოღვაწო საგნათ დასახული.

ჯერ-ჯერობით მისი მოღვაწეობა იმაში გამოიხატა, რომ ბეჭდავს სახალხო და საშკოლო საკითხავ წიგნებს, აარსებს ქალაქსა და სოფლებში წიგნსაცავ-სამკითხველოებს, უგზავნის ამათ საკითხავ წიგნებს ჟურნალ-გაზეთებს შეძლებისდაგვარათ, დაარსა დიდი სტამბა, გამოიწერა საუკეთესო მანქანები და ბეჭდავს როგორც საკუთარ გამოცემებს, აგრეთვე გარეშესაც (სასყიდლით).

ეს განმარტება საკმარისი შეიქნა ყველასათვის, რომ მაშინვე კისიდან საწევრო 3 მანეთი ამოეღოთ და გადმოეცათ.

— რადგანაც ასე უბნა-უბნათ დაგიყვიათ ქალაქი ამ კეთილი მიზნისათვის, უთუოდ ყველა ქართული ენით მოლაპარაკე მცხოვრებლებს მისცემთ ამ წინადადებას, როგორც ჩვენაო, გვკითხა ერმა ვაჭარმა.

— დიახ, ვუპასუხე მე.

— ებრაელებსა და სომხებსაც ხომ?

— სომხებს ჯერ არა, რადგანაც მათ ამჟამად დიდი საკუთარი ჭირი ადგათ კარს და ყოველი მათი წვლილი ამ ჭირის მოსაცილებლათ უნდა იხარჯებოდეს და თან ისინი უფრო ახალი სტუმრებიც არიან ჩვენში.

და ებრაელებს რაც შეეხება, იმათ, როგორც უხსოვარის დროიდან ჩვენთან მცხოვრებთ, ჩვენი ენის მოუბართ, ჩვენი ჭირისა და ლხინის მუდმივ მოზიარეთ უთუოდ მივმართავთ.

და მათი მხრით თავის ორგულობა იქნება, რომ ამის უარი გვითხრან, რადგანაც წ. კ. ქ. განყოფილების გამგეობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში მათთვის პირველ დასაწყისი სკოლა დაარსოს.

— კარგს ინებებთ, რომ თვით ჯააშათს მიმართავდეთ მათს სალოცავში ასეთი წინადადებით, ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს მაშინ უფრო თანაგრძნობით მოეპყრობიანო.

— შეიძლება ამ საშუალებასაც მივმართოთ—მეთქი ვუპასუხე ჩვენს თანამგრძნობს და ცნობის მოყვარე მოსაუბრე ახალ წევრს.

აქვე ვბეჭდავთ სიას იმ პირთ რომლებიც 17 მარტს 1915 წელს ქუთაისში ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრებათ ჩაეწერნენ და საწევრო წლიური გადასახადი (3 მან.) შემოიტანეს:

1. ახვლედიანი ალექსანდრე გრიგოლის ძე.
2. გაბუნია გრიგოლ ზურაბის ძე.
3. გაბუნია ბესარიონ გრიგოლის ძე.
4. გვარჯალაძე მოსე იაგორის ძე.
5. ეფრემიძე გერასიმე გიორგის ძე.
6. ექსანოვი ფრანწენკო გრიგოლის ძე.
7. დაშხი ალექსი სპირიდონის ძე.
8. ნემსიწვერიძე ნიკიფორე გიორგის ძე.
9. ოქხელი სტეფანე პეტრეს ძე.
10. სოხაძე დავით ნიკოლოზის ძე.
11. ფილიპოვი იაკობ პეტრეს ძე.
12. ქებაძე დავით ელიზბარის ძე.
13. ქუთელია მიხეილ გრიგოლის ძე.
14. დვინეფაძე ანდრია სპირიდონის ძე.
15. ღუღუნაძე ბარნაბ სოლომონის ძე.
16. ჭავჭანიძე აკაკი დავითის ძე.
17. ჭავჭანიძე ლუკა ივანეს ძე.

ამ პირთაგან მიღებულია სულ 51 მანეთი.

გამგეობის წევრი **სამსონ ყიფიანი.**

გოროტება ჩვენში.

(წერილი სამეგრელოდან).

საერთაშორისო ომიანობის ქარცეცხლმა დიდი გავლენა იქონია მთელს დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებზეაც. ყველგან ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა შეიცვალა.

წინა წლებში სიმიდის მოსავლით უზრუნველყოფილი სოფლელი გლეხი, მთელი ოჯახის ნუგეშს მაზე ამყარებდა და წლის სარჩოს გარდა დანარჩენი ბაზარზე გაქონდა ოჯახის მრავალგვარი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

უკანასკნელი წლები საშინელი მოუსავლობის წლები იყო.

მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან; აქა-იქ მრავალგვარმა ავათმყოფობამ და გადამდებმა სენმა იჩინა თავი... სოფლელი გლეხი ძლიერ გაჭირვებულია. შველას კი არსაიდან მოელის. პირიქით, დაბა-სოფლების ჩარჩ-ვაჭრებმა ისარგებლეს გლეხის ასეთი გაჭირვებულ მდგომარეობიდ და ერთი ორად გააძვირეს ყველასათვის აუცილებელი და უსაჭიროესი საქონელი. მაგ., გირვანქა ნავთი დაბაში შაურათ ღირს, სოფლებში კი 8 კაპ. და ხშირად 2 შაურათაც ყიდიან. და ამრიგად ისედაც გალატაკებულსა და გაჭირვებულ სოფლელ გლეხკაცს უარესად ავიწროებენ.

ამასთან ერთად ხშირად ეს ჩარჩები ისეთ სისაძაგლეს ჩადიან, რომ ეს ყოვლად დასაგმობი და გასაკიცხია: აღდგომის წინა დღეებში ერთ უღლარიბეს სოფლელს რამდენიმე ფუთი სიმიდის ფქვილი შეუძენია დ. აბაშაში მოვაჭრე ქ—სგან; შინ მისვლისას მას შეუნიშნავს რომ ფქვილში ნახევარზე მეტი არეული ყოფილა მუხუდოს ფქვილი, რომლის ფასიც ექვს შაურს არ აღემატება ფუთი და ამ არეულ სიმიდის ფქვილში 1 მ. და ათი შაური გადაუხდია საწყალ გლეხს.

ამავე დროს კი სოფლის ნაწარმოებთ: კვერცხი, შინაური ფრინველები და სხვა, რომლის გაყიდვითაც დღიურ ლუკმას შოულობენ, ჩალის ფასათ იგდებენ ხელში ეს ვაჭბატონები და ერთი სამათ იგებენ შიგ. მაგ., სოფლად კვერცხი ასეული ლობით 1 მან. ფასობს, ქალაქის ბაზარზე კი 2 მ. 10 შ.—3 მან. აღემატება.

საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ აღვირ ახსნილ ჩარჩვაჭრებმა ისედაც გაჭირვებაში მყოფი საზოგადოება უკიდურეს მდგომარეობაში არ ჩააყენონ.

საჭიროა კოოპერატივის დაარსება. მაშ, შევერთდეთ ყველა, ვიხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება კოოპერატივების დასაარსებლათ, რომ მათი ღორძინება-გაფართოვებით თავზედ მოვაჭრეებს სახსარი მოვუსპოთ უზომო გამდიდრებისა.

დ. ბზ—ვა.

საეროზო აგრონომები და მათი მოღვაწეობა.

როგორც მკითხველს მოეხსენება ქუთაისის გუბერნიაში მოღვაწეობენ საეროზო აგრონომები, რომელთა დანიშნულებაც არის, რომ ხელი შეუწყონ მუშა ხალხს ყოველივე სამეურნეო დარგის გაუმჯობესებაში პრაქტიკულათ, თუ თეორიულად.

მე მინდა აღვნიშნო აგრონომ რევაზ გედევანიშვილის ნაღვაწი 1914 წელში და ამით მივუთითო სხვა აგრონომებსაც, რომ მის მაგალითს მიმართონ, თუ ზედმეტს არას გააკეთებენ. როგორც ვიცი, აგრონომ რ. გედევანიშვილს 1914 წელში მთელ მეორე რაიონში, რომელიც შეადგენს ნახევარ ქუთაისის მაზრის და მთელ შორაპნისას, სხვა და სხვა ალაგას მოწყობილი ჰქონდა სანიმუშო ნათესები სხვადა სხვა ხორბლეულისა, ბალახეულობისა და სხვა მცენარეთა. ეს სანიმუშო ნათესები მისი ხელმძღვანელობით კეთდებოდა კულტურული წესით, კულტურული იარაღებით. მისმა შრომამ კარგი შედეგი მოიტანა და საზოგადოებაც ფრიად დააინტერესა ამ იშვიათმა მოვლენამ.

იყო მოწყობილი ვენახებისა და ხეხილის ბაღების სანიმუშო წამლობაც, რამაც აგრეთვე საუკეთესო შედეგი გამოიღო. თითქმის ყველა დარგში იპოვით სანიმუშო ნამუშევერს, რაც ფრიად დაკვირვებით იყო მოწყობილი. ამას გარდა აგრ. გედევანიშვილი სხვა და სხვა საზოგადოებას უკითხავდა ლექციებს სამეურნეო დარგიდან, რის შემდეგაც თანმოტანილ კულტურულ სამეურნეო იარაღების დემონსტრაციას აწყობდა და ამის შემდეგ მთელი შთაბეჭდილება ხალხზე ატკეცდებოდა. ყველა ლექციებს ხალხი მრავლათ ესწრებოდა, უხდიდენ მადლობას და სთხოვდენ ხშირ-ხშირათ ესაუბრა მათთან.

კარგი იქნება ამ გვარ მაგალითს სხვა აგრონომებმაც მიმართონ, რითაც მუშა ხალხს დიდ სარგებლობას მოუტანენ.

თვით აგრ. გედევანიშვილი ფხიზელი და ენერგიული ახალ გაზრდაა, ცოდნა და გამოცდილებაც ხელს უწყობს და ყველა ამასთან ქართულიც მშვენიერათ იცის, რაც უპირველესს შეადგენს ლექციების კითხვის დროს. თითქმის ყველა სოფელში იცნობენ მას და ყველა ქებით იხსენიებს, რაც არა ერთხელ აღნიშნულა ქუთათურ გაზეთებში.

მხოლოდ ერთი დაგვრჩენია, ვუსურვოთ აგრ. რ. გედევანიშვილს დღეგრძელობა და ხალხის მხრივ მადლობა მოვალეობის კეთილ სინდისიერათ ასრულებისათვის.

სოფლელი.

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 მარტი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 29 მარტს, შუა ნემანიდან დასავლეთით კერძო ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. ოსოვეცთან, ედვაბნოს რაიონში, პისისა და ომულევის შუა არტილერიის სროლაა. გერმანელები შეეცადენ სოფელ შაფრონკაზე იერიში მოეტანათ, მაგრამ ამათ [illegible] როსტოკის გზით ჩვენ, 28 მარტს, მტრის დიდი ძალა უკუვაგდეთ, რომელმაც განმეორებით მოიტანა იერიში უჟოკის მთაგრეხილის რაიონში, სადაც გამაგრდენ. ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ, 700 ჯარის კაცი დავატყვევეთ და სამი ზარბაზანი ვიხელთეთ. სტრიისის გზით როსახაჩისა, ავრაჩისა, კოზიუვკისა და როჟანის ფრონტზე მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. კოზიუვკა და ახლო მდებარე პოზიციები ჩვენს ხელშია. ჩვენი ფრონტის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი. 29 მარტი. სუვალკის რაიონში ჩვენ მრავალი გერმანელი დავატყვევეთ და ოთხი ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. ამავე დღეს, დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდი ოსოვეცს ესროდენ რვა დიუმიანი გაუბიცებით. ჩვენი სიმაგრის არტილერიაც მხნეთ უპასუხებდა. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. საალყო ბატარეიით რუდის არხზე ოთხი ტივით გერმანელები შეეცადენ ხიდის ასაფეთქებლათ ბრანდერი მოეტანათ, მაგრამ ბრანდერის ნაწილი ავაფეთქეთ და რაც დარჩა დანიშნულ ადგილს ვერ მიაღწია. ედვაბნოს რაიონში გაალმასებული საანგარო ბრძოლაა ნაღმის მტყორცნელების საშუალებით. სოფელ ცელეშკის რაიონში კოლნო-მიშინეცს მიმავალ გზაზე ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა საშინელი აფეთქება მოახდინა. სოფელ ბრომერავთან მცირე ბრძოლა იყო დრობინის სამხრეთით და ვისლას მარჯვენა ნაპირზე. დემბთან ქვედა ნარევზე ჩვენ გერმანელების ჰაეროპლანი და ორი მფრინავი დავიჭირეთ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 29 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ღამით, 29 მარტს, გერმანელებმა ალბერიდან ჩრდილოეთით მდ. ანკრის ორივე ნაპირზე იერიში მოიტანეს ჩვენს იმ თხრილებზე, რომლებიც გამელთანს და ტიეპვოლსის ტყეში მდებარეობს, მაგრამ ხელჩართული ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქნენ. არგონის სიმაღლეზე მთელი ღამის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა იყო. ჩვენ მტრის ბლოკგაუზი და 300 მეტრ. სივრცეზე თხრილების მთელი რიგი დავიჭირეთ და ზედ გავმაგრდით. მაასისა და მოზელის შუა, ეპარჟისა და კომბრის რაიონში ბრძოლა არ ყოფილა. 27 მარტს, აიისის ტყეში მტერზე იერიში მივიტანეთ და 28 მარტს, თხრილების ახალი ხაზი დავიჭირეთ. მორმარის ტყეში ღამით გერმანელებმა მოგვიგერიეს, თუმცა მათგან დაკარგული თხრილები ისევ ჩვენ ჩაგვრჩა ხელში და ყველა პოზიცია, რომელიც 26 მარტს, დავიჭირეთ. ლეპრეტის ტყეში დასავლეთის ნაწილებში მტერმა ორჯერ მიიტანა გააფთრებული იერიში, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით უკუქცეულ იქნენ. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ზღვის სადგურზე და ლითონის ჩამომსხმელ ქარხანა ბრიუგგეზე 155 ყუმბარა ჩამოაგდეს.

სოლუნი. 29 მარტი. მიტილენიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში მოკავშირეთა ფლოტი დარდანელსა და განსაკუთრებით ოსმალების ახალ სანგარებს ყუმბარებს უშენდა. მოკავშირეთა ყველა გემის აქედან წასვლა საიდუმლოებით არის მოცული.

ოსმალეთის ასპარეზი.

თეირანი. 29 მარტი. 30 მარტს, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. საზღვარზე მოდარაჯე ქურთებს სპარსეთის მთავრობასთან შეტაკება მოუხდათ. ამის გამო ქურთების უფროსები დაპატიმრებულ იქნენ. საზღვარზე მოდარაჯე ოსმალეთის ჯარის უფროსმა ქერმანშახის გუბერნატორ ემირ მოფახამს ქურთების უფროსების განთავისუფლება მოსთხოვა და აგრეთვე იმ პირთა გაცემა, რომლებმაც უფროსები დააპატიმრეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქერმანშახში ჯარს შეიყვანს. მოფახამმა უარი განაცხადა ოსმალეთის მოთხოვნაზე, რადგანაც ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება სპარსეთის შინაგან საქმეში ჩარევა იქნებოდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ჯარი ბრძანებისამებრ სპარსეთში შეიჭრა და კასრიშირინი დაიჭირა. თეირანის კაბინეტი ოსმალეთის საელჩოსთან შუამდომლობს ჩამოვარდნილ განხეთქილების ჩასაქრობათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და წვრილათ.

თესლი შემოწმებულია თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.

საპარტიო სავაჭრო საბაკალეინო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. პილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.
15—2

სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

ნიუპორტნიუსი 29 მარტი. გერმანიის მაშველი კრეისერი „კრონპრინცი ვილჰელმი“ დღეს პორტში შევიდა. კრეისერის კომანდირმა პორტაში შესვლის მიზეზი ნახშირისა და სურსათ სანოვაგის უქონლობით ახსნა.

სტოკჰოლმი. 30 მარტი. ამერიკელი სათნოების დები ექიმთან ერთად პეტროგრადს წამოვიდნენ, რომლებიც შემდეგ რუსეთის ჯარის ფრონტზე გაემგზავრებიან.

ნიში. 29 მარტი. პრესბიურო იტყობინება, რომ მეამბოხენი თავდასხმას კიდევ განაგრძობენ იმ ამბის შემდეგ, რომელსაც სტრუმიცაში ჰქონდა ადგილი. 27 მარტს, საღამოს მალეშის ოლქის ზანოკში მეამბოხენი ბლოკგაუზს დაეცენ. სერბიელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგანაც მეამბოხეთა რიცხვი სერბიელებისაზე გაცილებით დიდი იყო, თუმცა სერბიელებმა მეამბოხეთ დიდი ზარალი მიაყენეს.

სერბიელებს მარტო ერთი ჯარის კაცი დაეჭრათ. იმავე დღეს მეამბოხეთა მეორე რაზმი სოფელ მუშკოვს მიუახლოვდა, მაგრამ ბულგარეთის საზღვრებამდი უკუქცეულ იქნენ. ამ აზრის შესახებ გამოძიება სწარმოებს, რადგანაც ასეთი თავდასხმის მიზეზი არავინ იცის თუ საიდან გამომდინარეობს.

რომი. 29 მარტი. დილის ქალაქმა სამხედრო ბანაკის სახე მიიღო. მოედნებს, მთავარ ქუჩებს, გერმანიისა და ავსტრიის საელჩოების შენობებს და იმ სახლს, რომელშიც ბიულოვი სცხოვრობს, კარაბინერები, პოლიციელები და კავალერია იცავდენ, რადგანაც ნეიტრალისტებისა და ომის მომხრეთა სურვილი იყო მთავრობის უნებართვოთ ყრილობა გაემართათ.

დღის სამ საათზე დაპატიმრება დაიწყო. რამდენიმე ალაგას პოლიციას ხალხთან შეტაკება მოუხდა. ნაწილი შეეცადა ბიულოვის სახლს მიახლოვებოდა, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სხვათა შორის გაზეთ „პოპოლოდიტალიისა“ და „მუსოლინის“ რედაკტორები და განთქმული ფუტურუსტი მარიუტიტი დააპატიმრეს.

გერმანიის ლოიდის შენობის ფანჯრები ჩამტვრეულია.

ომის გარშემო.

გავლენიან სამხედრო წრეების დიდი და სერიოზული ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია სამხედრო მოქმედებისაკენ კარპატების მთებზე, სადაც უმაგალითო და თავგანწირული ბრძოლა სწარმოებს მოპირდაპირეთა შორის; მიუხედავათ ცუდი პირობებისა და ამინდისა, რუსის ჯარის იერიშები აქ წარმატებით მიდის.

კარპატების ფრონტზე ამ ჟამათ ავსტრიელებმა მთელ თავის ძალას მოუყარეს თავი, რომელიც 24 კორპუსისაგან შესდგება. ამას გარდა აქ არის გერმანელების ექვსი კორპუსიც, რომელიც, ეჭვი არაა, ამ სერიოზულ მომენტის დროს გადიდებული იქნება ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე მომქმედ ჯარის მიმატებით.

ამ ნაირათ ავსტრიელებმა კარპატებში თვალსაჩინოდ გახადეს თავისი ძალა და აქ ბრძოლის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მთელი კამპანიისათვის. ასეთ მნიშვნელობას აძლევენ თვით ავსტრიელებიც კარპატებზე ბრძოლას და რუსის ჯარის შეუჩერებელი წინ წაწევა უნგრეთისაკენ მათ მოსვენებას არ აძლევს. ამიტომაც იყო, რომ ავსტრიელების მთავარმა სამხედრო შტაბმა ფიცხელი ბრძანება გასცა, რაც უნდა დაუჯდეს, რუსების წინ წაწევა შეაჩერონ.

ეჭვს გარეშეა, რომ კარპატებზე ბრძოლას, როგორც სტრატეგიულად, ისე პოლიტიკურათაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი სამხედრო ოპერაციებისთვის კარპატებში, აქ საკითხავია მხოლოდ ის, თუ რა როლს ითამაშებს გერმანია დაკმაყოფილდება თავის ჯარის ზოგიერთი ნაწილის მიშველებით, ან მთელ თავის სათადარიგო ჯარს, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე მოქმედებს, მიაშველებს ავსტრო-უნგრელებს და თავის საკუთარ ტერიტორიას განსაცდელში ჩააგდებს, თუ მიატოვებს ავსტრიელებს თავისი ძალღონით დაიცვან თავისი ტერიტორია?

გაგზავნის თუ არა გერმანია თავის ძალას კარპატებში—ეს კითხვა ჯერ გადაუწყვეტელია.

ავსტრიელები—კი ყოველნაირათ ცდილობენ კარპატებში თავისი ჯარი შეავსონ. ამ მიზნით მათ იტალიის საზღვრებიდან თავისი ჯარის ნაწილები მოყავთ, რაც სამხედრო მოსაზრებით, ხელსაყრელი არაა და ვერც მოუტანს ეს ჯარი მათ სარგებლობას, რადგანაც ამ საზღვარზე ავსტრიელებს მოხუცი და გაუწვრთნელი სათადარიგო ჯარის კაცები ყავს. ამასთანავე იტალიასთან ჯერ დიპლომატიური მოლაპარაკება არ დასრულებულა და საზღვრების დაცარიელება, უეჭველია, ავსტიისათვის საბედისწერო იქნება, ყოველივე ეს კი მოასწავებს იმას, რომ ავსტრიელების მდგომარეობა ამ ჟამათ კარპატებში უნუგეშოა.

როსტოკის უღელტეხილის რაიონში, სადაც რუსის ჯარმა უმთავრესი ქედის დიდი ნაწილი ჩაიგდო ხელში და გადავიდა სამხრეთ ფერდოებზე—დიდი სტრატეგიული წარმატება იყო რუსებისათვის.

ამ გვარათ ეხსნება უნგრეთის შუაგულისკენ რუსებს გზა და ეს კი საშუალებას მისცემს ფართო ფრონტზე აწარმოონ სამხედრო მოქმედება.

(ბირ. ვ.).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

შვეიცარიის გაზეთების ცნობით, ოსმალებს დარდანელის სრუტისა და სტამბოლის რაიონში ჰყავთ ხუთი კორპუსი ქვეითი და 7 ბრიგადა ცხენოსანი ჯარი. საერთო ჯამი ამ ჯარისა აღწევს 200 ათას კაცამდი.

— —

დანიიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ზოგიერთ ქალაქში, მაგალ., ჰამბურგში, ლიუბეკში, შლეზვიგში და სხ. ვიღაცეები ავრცელებენ მოწოდებებს, რომლითაც მოითხოვენ პურს და საჩქაროთ ზავის შეკვრას.

ვენიზელოსის მემორანდუმი.

ათინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვენიზელოსის მემორანდუმის სრული შინაარსი მეფესთან. ვენიზელოსი მემორანდუმში ამბობს, რომ საბერძნეთი უნდა გამოვიდეს სამთა შეთანხმების და თვით ბულგარეთის მხარეზე, თუნდაც ამისათვის საბერძნეთს ბულგარეთის სასარგებლოთ რაიმე ტერიტორიალური დათმობა დასჭირდესო.

ამის საპასუხოთ საბერძნეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი გუნარისი სწერს: „თქვენ მტკიცეთ გადაგიწყვეტიათ დაუთმოთ ბულგარეთს კავალლა, დრამა და სერისამპანი“? ამაზე ვენიზელოსი ამბობს: „არა, მე მხოლოდ მსურდა დამეთმო ბულგარეთისთვის 2 ათასი კვ. კილომეტრი შემდეგის პირობით: თვითონ ბულგარეთ ჩვენთვის მაკედონიაში 100 ათასი კილომეტრი უნდა დაეთმო, რის შემდეგაც ბულგარეთი დაარღვევდა ნეიტრალიტეტს, როგორც ჩვენი მოკავშირე. დაბოლოს, ჩვენგან დათმობა მოხდებოდა, მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ, რის შედეგიც ის იქნებოდა, რომ საბერძნეთი მიიღებდა მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს, 40 ათასი კილომეტრის სივრცეზეო“.

— —

ვენეციიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიიდან მოსულმა პირებმა იქ ილაპარაკეს, ვითომც ვენასა და ბუდაპეშტში დიდი არეულობა და ამბოხება მომხდარიყოს 24 და 25 მარტს. ვენის ორ ქუჩაზე ბარიკადები იყო გაკეთებული. მეფის სასახლეს ათასობით პოლიციელი იცავდა. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ აღმოჩნდა მრავალი დაჭრილი და მოკლული.

გერმანული გაზეთების სააღდგომო წერილები.

გერმანიის ყველა გაზეთის ნომრები სავსეა წერილებით სურსათის მომავალ კრიზისის შესახებ გერმანიაში.

„ფორვერცი“ იუწყება, რომ გირვანქა ძველი კარტოფილი 18 ჰფენიგ. ღირს. ჩაი და ყავა ერთი ორათ გაძვირდა და გირვანქა პური უკანასკნელ კვირაში 20 ჰფენიგ. გაძვირდაო, ქალაქებში ხდება დიასახლისთა მიტინგები, რომლებიც უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილი.

„ბერლინერ ტაგებლ“. სწერს: ახლა დრო აღარ არის ვილაპარაკოთ რაღაც განუხორციელებელ მისწრაფებაზე, გერმანიის საქვეყნო ბატონობაზე, ჩვენ მხოლოდ უნდა ვეცადოთ ჩვენი ტერიტორია შევინარჩუნოთო.

„დ. ტაგ“. აცხადებს, რომ „გერმანიის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უკვე ჩასვლას ეპირება“. გაზეთი მომავალ გამარჯვებაზე სდუმს და მერმისის უფრო ზნეობრივ ამაღლებაზე ლაპარაკობს, რომელსაც გერმანიას ვითომც ეს ომი მიანიჭებს და სხ.

— —

ამტკიცებენ, რომ პაპამ წინადადება მისცა ფრანც იოსებს დაიხსნას თავის იმპერია დაყოფისაგან, თუნდა ამას მსხვერპლათ ტერიტორიული დათმობა დასჭირდესო.

ს. კაკაბაძე.

მკითხველს ალბად მოეხსენება, ვინცა ბძანდება სარგის კაკაბაძე.

მას—თფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებული ქართული ისტორიისა და ენის კათედრა უჭირავს. მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ხანმოკლე პედაგოგიური მოღვაწეობის დროს მსმენელთ ისე შეიძულა თავისი ლექციები, რომ აუდიტორია დაუცალიერდა და მსმენელთა სასტიკი გაკიცხვა დაიმსახურა (იხ. „სახალხო გაზ.“ № 243).

„არცერთ ლექციაზე არ მოსულა მომზადებული, ჩვენი ისტორიის არცერთი ეპოქა არ გაუშუქებია, ლექციაზე არ მოსვლა ხომ ჩვეულებად გარდაექცაო“, უჩივიან.

როგორცა სჩანს, ს. კაკაბაძემ ქალთა კურსების ქართული განყოფილება დაასამარა.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს: სარგისს იმდენი სამეცნიერო ღვაწლი მიუძღვის, რომ, რაც დააშავა, როგორც პედაგოგმა, აანაზღაურა, როგორც მეცნიერმა, და, ამიტომ, დანაშაული ეპატიებაო!

როგორ არა! მან თითქო ერთი დიდი ისტორიული ფაქტი აღმოაჩინა: შოთა რუსთაველი მეთორმეტე საუკუნეში კი არა, არამედ თურმე მას შემდეგ ყოფილა, საქართველოს რომ მონგოლები შემოესიენ! დიაღ! სარგისი—პატარა ვინმე ნუ კი გგონიათ!

მართლაც, განა ხუმრობაა?! მან საქართველოს უმწვერვალესი პოლიტიკურისა და ლიტერატურული განვითარების ხანას თავიდან ოქროს გვირგვინი მოგლიჯა და საქართველოს ისტორია ყირამალა გადაატრიალა!

საბუთებიო?! იკითხავთ. მაგრამ საბუთად განა მარტო ის არა კმარა, ეთნოგრაფიული საზოგადოების კრებებზე რომ მოხსენებებს კითხულობს და მოკამათეებს პირში ბურთსა სჩრის.

მაგრამ, მისი უბედურობა ის არის, რომ ერთობ გათამამდა და აღარავისი ხათრი და მორიდება აღარ აქვს. თამარ დედოფლის ბრწყინვალე ხანა რომ საქართველოს ისტორიიდან ამოშალა, ეს, ჰო, კიდევ შეგვიძლია ვაპატიოთ, რადგან, მოგეხსენებათ, ჩვენისთანა სულგრძელი და ამტანი ერი არსად მოიპოვება. პირად შეურაცხყოფას კი ვერ ვითმენთ, ამიტომ, ვურჩევ ბ. სარგისს, ფრთხილად იყოს და ქართველ მკვლევართ უდიერად ნუ ახსენებს. მეტადრე ცილისწამებას არ აპატიებენ! კურსებთან არსებული ეთნოგრაფიული საზოგადოებისათვის რომ მოუხსენებია, „პროფესორ ჯავახიშვილს ერთი ცუდი ზნე სჭირს, ქართულად სხვას სწერს და რუსულად სხვასაო“, ეს ხომ მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება! დიაღ! დამსახურებულისა და კეთილსინდისიერი მეცნიერის ამგვარად ხსენება უცხოელთა წინაშე, რომელთაც არ შეუძლიათ შეამოწმონ ნათქვამის სიმართლე, სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია!

მიკვირს, რამ გაამწარა ასე ბ. სარგისი, რომ აღარც გვზოგავს და წინაპართა საფლავების ამოთხრით რომ ვერა დაგვაკლო-რა, — ცოცხალ მოღვაწეებს მისწვდა!

ვფიქრობ, მას რაღაც ჰეროსტრატისებური თავმოყვარეობა აქეზებს. მართლაც, ამდენი უცნაურობა რომ არ ჩაედინა, სარგის კაკაბაძეს ვინ ახსენებდა?! ახლა კი, თუმცა ჯერ, როგორც ვიცით, არავითარი სამეცნიერო ღვაწლი არ მიუძღვის, თავისი საქციელით თავისი სახელი უკვე მთელ საქართველოს მოჰფინა!

ეჰ! ვინ იცის, რამდენი გადაგვარებული ჰეროსტრატე წარმოშვა და რამდენს კიდევ წარმოშობს ჩვენი უკულმართი ეროვნული ცხოვრება?!

ვასილ წერეთელი.

— —

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო, ბ. ს. კაკაბაძის პასუხი რომ წავიკითხეთ, მაგრამ, რადგან მის პასუხში მისი გასამართლებელი ვერა ამოვიკითხეთ-რა,— წერილს უცვლელად ვბეჭდავთ.

ავტორი.

დაბა-სოფელი.

ჭიათურა. თითქმის ყველგან დაბა-ქალაქებში დიდ ფაცა-ფუცში არიან სხვადასხვა გადამდები სენის მოლოდინში და მის წინააღმდეგ საბრძოლათ ემზადებიან. მაგრამ ამ ჩვენ დალოცვილ ჭიათურაში კი სულ წინააღმდეგს ნახავთ. პირიქით, ხელს უწყობენ, ნიადაგს უმზადებენ სენის გაჩენას. არავითარი სისუფთავე არაა დაცული, სანიტარული ზომები არაა მიღებული, თუმცა სანიტარული კომისია არსებობს, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე და სახელისათვის.

ყოველივე სიბინძურე ქუჩაზე ჰყრია, ეზოები ძალზეა გაბინძურებული ესეც იმგვარ კულტურულ დაწესებულების ახლოს როგორიცაა: კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება, ფოსტა, თეატრი, ბანკები და სხვა. მაგალითისთვის მოვიყვან: კოოპერ. საზ. „ჩვენი ოჯახის“ წინ, სამკითხველოს გვერდით, თხრილია, სადაც მთიდან წვიმის წყალი ჩამოდის. ამ თხრილში მცხოვრებლები ჰყრია ყოველ ნაირ ნაგავს, დახოცილ ფრინველებს, კატას და სხვა, წყალს ჩამოაქვს ძირს, ვაკეზე რჩება და შემდეგ იხრწნება, და სწამლავს ჰაერს, მაგრამ ყურის მგდებელი არავინაა.

იყო ერთი ასეთი შემთხვევაც: ჩამოვლილს უბნის ზედამხედველს მიუთითეს მეზობლის ეზოს ანტისანიტარულ მდგომარეობაზე და სთხოვეს ოქმის შედგენა, მაგრამ ბ. ზედამხედველმა შემდეგი პასუხით გაისტუმრა მთხოვნელები: "მარტო მე უფლება არა მაქვს ოქმის შედგენის. ვინაიდან სანიტარული კომისიის წევრი არ მახლავს"-ო.

ასეთი იყო პოლიციის მფარველობა ამ მხრით და სანიტარები ხომ სულაც არ დაეძებენ... დაუყონებლივ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს თვით მცხოვრებლებმა და დაიცვან სასურველი სისუფთავე. თავის თავზე თვითონვე იზრუნონ და უპატრონონ, თორემ სხვის იმედებით ვერაფერ კარგს ვერ ვეღირსებით.

პლატონ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი და გულწრფელი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პატივცემულ-პირთ, რომელნიც სხვადასხვა შემოწირულობით დიდათ გვეხმარებიან დ. აბაშის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ასაღორძინებლად, წასულ წელს გამოუწერა:

1. ბაგრატ ივანეს ძე დოლიძემ—„ბათუმის გაზეთი“ და „Огонекъ“ 2. კოწია უჩანეიშვილმა „Нива“; 3. ანდრია ნადარეიშვილმა „Закав. рѣчь“; მიმდინარე წელს:

1. ბაგრატ ივანეს ძე დოლიძემ „Огонекъ“; 2. კოწია უჩანეიშვილმა „Руское слово“; მღვდელმა დავით ცომაიამ შემოსწირა სრული თხზულებანი ა. თ. პისემსკისა, ც. ი. მელიკოვ-პეჩერსკისა, გ. იბსენისა, მ. გაუპტმანისა. ა. კ. ტოლსტოისა და გ. უსპენსკისა, ღირებული ყველა არა ნაკლებ 60 მანეთისა.

მარიამ მიხ. გუგუშვილმა 16 ც. რუსულ-ქართული წიგნი, ღირებული 15 მან. 13 შ. მასწ. შუშანიკა ნადარეიშვილმა 4 ც. რუსულ-ქართ. წიგნი, ღირებული 4 მან. 10 შაური. ვასილი მასხულიამ 16 ც. ქართული წიგნი. ღირებული 3 მან. 10 შ.

ბაგრატ ივანეს ძე დოლიძემ დიდი კედლის საათი 20 მან. ღირებული.

აბაშის დურგალმა ლეონტი გოგავამ 5 მანეთიანი „კანტორკა“ და 15 მან. ღირებული მაგიდა დაგვითმო 12 მანეთად.

დასასრულ გამგეობა ზნეობრივად მოვალეთ სთვლის თავის თავს ხაზ გასმით აღნიშნოს ბაგრატ დოლიძის ყოველწლიური გულ უხვი შემოწირულობა აბაშის ბიბლიოთეკისათვის დღიდან მისი დაარსებისა, ეს პატივცემული ქველმოქმედი ერთ წელსაც არ უშვებს ისე, რომ ხსენებულ ბიბლიოთეკას რომელიმე ჟურნალ-გაზეთი არ გამოუწეროს და ან სხვა სახით რაიმე ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩინოს.

ვისურვებთ ასეთი გულ-შემატკივარ პირების გამრავლებას.

პატივის-ცემით დ. აბაშის უფასო ბიბლიოთეკა სამკითხველოს **გამგეობა.**

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій “10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ძოხრიძისა—ქუთაისში.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.